საყოველთაო ლაშქრობა ჯანმრთელობისათვის

7 აპრილი ჯანმრთელობის მსოფლიო დღეა! კვირას, 5 აპრილს ვაიმართა ამ დღისადმი მიძღვნილი ფიზკულტურული და სპორტული ღონისძიებები. (იხ. მე-2 გვ.)



პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 აპრილი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 68 (9479) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ჭადრაკში

საქართველო (ქალები) — იუგოსლავია (ვაჟები): პირველი შეხვედრა — 3:3; მეორე შეხვედრა — 1,5:4,5.

ჭეშმარიტი საჭადრაკო ფესტივალი

სურათზე: დუშან რაიკოვიჩი და ლიზებენ თავიანთ პარტიებს.

ნონა გაფრინდაშვილი აანალ. კოტორაშვილის ფოტო.

— ეს იყო ნამდვილი საჭადრაკო ზეიმი, ჭეშმარიტი დღესასწაული, წარმოდგენა-ფესტივალი... ერთი სიტყვით, არ ვიცი რა დავარქვა — გვითხრა საქართველოსა და იუგოსლავიის მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა გუნდების მატჩის შემდეგ სტუმართა გუნდის ლიდერმა, საერთაშორისო დიდოსტატმა **მიშო ცებალომ.** — ჩვენ ყველანი, მოჭადრაკეებიც და გუნდის წარმომადგენლებიც მოხარული ვართ, რომ ეს უპრეცედენტო მატჩი გაიმართა და მასში ჩვენ ვმონაწილეობდით თქვენს მშვენიერ მანდილოსნებთან ერთად. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ამ შეხვედრის ყველა მოჭადრაკე ქალს, ჩვენს მასპინძლებს, ტურნირის ორგანიზატორებს, მსაჯთა კოლეგიას, მშვენიერი ჭადრაკის სასახლის თანამშრომლებს იმ დიდი ყურადღებისა და თბილი დამოკიდებულების-

იხ. მე-3 გვ.

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

დებიუტი ექვს ქალაქში

შაბათს და კვირას გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველი მატჩები (თითოეულმა გუნდმა ჩაატარა 2-2 შეხვედრა)



გორი — სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) 63:81 (23:44) და 88:91 (32:45). მსაჯები: რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი თ. სადგომელაშვილი (საჩხერე) და პირველი კატეგორიის მსაჯი ა. ქილიტაური (თბილისი). კომისარი —საკავშირო კატეგორიის მსაჯი მ. ბაგრატიონი.

გორის გუნდი არც ისე დიდი ხანია რაც შეიქმნა და კალათბურთელები ერთმანეთში არ იყვნენ შეთამაშებული. ეს განსაკუთრებით პირველ მატჩში იგრძნობოდა. მეორე შეხვედრა გაცილებით უფრო მძაფრი და საინტერესო გამოდგა. გორელებმა თბილისის ჩემპიონს — უნივერსიტეტის კალათბურთელთა კოლექტივს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს. აქ ჩემპიონატის საზეიმო გახსნა დროზე არ შედგა. მაყურებელი ალოდინეს.

სოხუმი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 78:86 (27:42) და 74:80 (39:35). მსაჯები: საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი მ. ქურიძე (თბილისი) და საკავშირო კატეგორიის მსაჯი ზ. აბაშიძე (სამტრედია). კომისარი — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ლ. ფალავანდიშვილი.

სოხუმელებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარეს მათ მეორე შეხვედრა. თბილისელები მეტოქეს

იხ. მე-3 გვ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

გუშინ შედგა VI ტურის ორი შეხვედრა.

ლანჩხუთის „გურიამ“ უმასპინძლა ლენინგრადის „ზენიტს“. მატჩის ანგარიშია 1:1. გოლები: ხლუსი (ლანჩხუთი) და აფანასიევი.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ხარკოვის „მეტალისტი“. თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

* * *

გუშინ მცხეთის სტადიონზე გაიმართა თბილისის „დინამოს“ და ალმა-ათის „ქაირათის“ დუბლიორთა მატჩი. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 5:2. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს მიქაშავიძემ, გურულმა, ჟორდანიამ, ქეცბაიამ, თედეევმა.

დინამოელთა შემადგენლობა: აბუსერიძე, ფირცხალავა, ოსიპოვი, ცვეება, წიკლაური, თედეევი, გოგრიჭიანი (ნადარეიშვილი), ჟორდანია, ქეცბაია, გურული (ჯიშკარიანი, ბეკოევი), მიქაშავიძე.

ლანჩხუთის „გურია“ შინ შეხვდა ლენინგრადის „ზენიტს“. გამარჯვეს ლანჩხუთელებმა 2:1.

თბილისის მრავალდღიანი ველორბოლა

ლატვიის ნაკრები და გენადი გოდუნოვი

თბილისის მრავალდღიანი საერთაშორისო ველორბოლის მეექვსე, ბოლო ეტაპს არც პირად და არც გუნდურ ჩათვლაში არაფერი შეუცვლია. გამარჯვება ლატვიის პირველმა კოლექტივმა მოიპოვა, პირად ჩათვლაში კი ყველას თბილისის არმიელმა გენადი გოდუნოვმა აჯობა.

ლატვიის გუნდს მთელი რბოლის მანძილზე მხოლოდ ერთი რეალური კონკურენტი ჰყავდა — „განთიადის“ ველოსიპედისტთა კოლექტივი, ლიდერისთვის ხელის შეშლა სწორედ მას შეეძლო და ამიტომაც ბოლო ეტაპი (თბილისი — წითელი ხიდი და უკან, 120 კილომეტრი) ამ გუნდის წევრებმა აქტიურად ჩაატარეს. სტარტიდან ორი-სამი კილომეტრის შემდეგ დაწინაურდა ველოსიპედისტთა ხუთკაციანი ჯგუფი, რომელშიც ორი განთიადელი (მამუკა გვარაძე, ტარიელ სამადაშვილი), ერთი სპარტაკელი (ვახტანგ პაპუაშვილი), ერთი რუსთაველი (ალექსანდრე სკლიაროვი) და ერთიც ლატვიელი (ოლეგ ტიხონოვი) მრბოლი იყო. ამ ხუთეულმა მთელი დისტანცია ერთად იარა. ტემპს

იხ. მე-2 გვ.

რეზონანსი

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში

● **საქართველოს მოჭადრაკე ქალები რევანშისთვის მოემზადებიან, განმეორებითი შეხვედრა ნავარაუდევია სექტემბერში.**

● **კალათბურთში რესპუბლიკური ჩემპიონატის გახსნა სამაგალითოდ იყო ორგანიზებული ქუთაისში.**

● **ჯანმრთელობის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ ფიზკულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს ბევრგან გულისყურით მოეკიდნენ.**

ცელებაია — მკიმოხველი



● **მილანი.** აქ გამართულ ჩოგბურთელთა ტრადიციულ ტურნირში ბეკერმა (გფრ) ნახევარფინალში დაამარცხა ჟოვსინოვიჩი (იუგოსლავია) — 6:2, 3:6, 6:2. მეჩირმა (ჩეხოსლოვაკია) სძლია ვილანდერს (შვეიცარია) — 6:0, 6:2.

ფინალში ბეკერი შეხვდა მეჩირს და დაამარცხა — 6:4, 6:3.

● **იუნოსახალინსკი.** აქ დამთავრდა საკავშირო გუნდური ჩემპიონატი თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში. პირველი ადგილი ალმაათელთა კვარტეტმა (ს. ოზერნიხი, ა. ვერვეიკინი, ვ. ჩერნიაევი, ა. ტარანოვი) დაისაკუთრა. გამარჯვებულმა გუნდმა 1203,8 ქულა დააგროვა.

● **კლაიპედა.** დამთავრდა უმაღლესი ლიგის V-VIII ადგილებისთვის მებრძოლ კალათბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. ჩემპიონატის საბოლოო შედეგები ასეთია: 5. „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი), 6. „ადისი“ (ბაკოიანი), 7. ტტტ (რიგა), 8. „ურალმაში“ (სვერდლოვსკი), ჩემპიონის სახელისათვის სუპერფინალში იბრძოლებენ ნოვოსიბირსკის „დინამო“ და ლენინგრადის „სპარტაკი“, ბრინჯაოს მედლებს კი ცსკა და მინსკის „ჰორიზონტი“ გაიათამაშებენ.

● **კაუნასი.** „გრანიტასის“ ხელბურთელებმა საერთაშორისო ფედერაციის პრიზის პირველ ნახევარფინალურ მატჩში დასავლეთგერმანიის კლუბი ვფლ დაამარცხეს — 22:12.

● **ლენინგრადი.** ჰოკეისტთა მეორე ნაკრებების აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა სპორტსმენები ლიდერობენ. შაბათს და კვირას მათ ფინეთისა (8:2) და შვეციის (4:0) გუნდები დაამარცხეს.

● **მედისონ-ჰატი.** კანადაში ტურნეს განაგრძობს სსრ კავშირის ჰოკეისტთა ექსპერიმენტული ნაკრები, მორიგ მატჩში ჩვენმა სპორტსმენებმა ამ ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები დაამარცხეს — 4:3.

● **მინეაპოლისი** (აშშ). საბჭოთა კავშირის ნაკრებმა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში მეორე მატჩიც მოუგო აშშ-ს გუნდს — 10:0. შეგახსენებთ, რომ პირველ შეხვედრაში ანგარიში იყო 7:3.

რეზონანსი

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში

● **რატომ ვერ ვაუწყეთ ფეხბურთის გულშემატკივრებს, სად გაიმართებოდა „ქაირათთან“ თბილისის „დინამოს“ დუბლიორთა შეხვედრა?**

● **კალათბურთში რესპუბლიკის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩი გორში დანიშნულ საათზე არ დაიწყო, მაყურებელი ალოდინეს.**

● **კვირას გამართულ მასობრივ-გამჯანსაღებელ ღონისძიებებში მეტწილად მხოლოდ მოზარდები გამოვიდნენ ხარბიელზე.**

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔ

თვის მონაგარი

თბილისელი გიორგი ჩოგოვაძის თებერვლის მონაგარი საკმაოდ შთამბეჭდავი აღმოჩნდა. განთიადელმა წუალში მხტომელმა მარტშიც წარმატებას მიაღწია, ამჯერად საერთაშორისო ტურნირში. „გაზაფხულის მერცხლები“ საკმაოდ ავტორიტეტული საერთაშორისო ტურნირია და მასში ბევრი აღიარებული უცხოელი სპორტსმენი მონაწილეობს. ამ შეჯიბრებაზე, რომელიც მოსკოვის საცურაო აუზ „ოლიმპიისკიში“ გაიმართა, ჩოგოვაძემ ყველას აჯობა 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში.

რაკი ჩვენი მიმოხილვა სპორტის საწყლოსნო სახეობაში მიღწეული წარმატებით დავიწყეთ, მოცურავეთა მიერ ნაჩვენებ შედეგებსაც აქვე შევაჯამებთ.

მოგეხსენებათ, საქართველოს მოცურავეები წარმატებებით არ გვანებივრებენ, ამიტომ ორმაგად საკავშირო პირველობაში ჩინებულად იასპარეზა და I ადგილი დაიკავა.

თბილისელი ვლადიმერ გაბრიჩიძე ჯერ 18 წლისაა, მაგრამ უკვე ძლიერი და პერსპექტიული ჩოგბურთელის სახელი დაიმკვიდრა. იგი სტაბილურად კარგად გამოდის და მის თამაშს ინტერესით აკვირდებიან.

გაბრიჩიძემ ჩოგბურთელთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატში მოსკოველ ოლხოვსკისთან ერთად წყვილთა ასპარეზობაში დაამარცხა ზვერევ-ლეონიუკის წყვილი და ოქროს მედალთან ერთად სპეციალისტთა მოწონებაც დაიმსახურა.

ჩოგბურთელ ქალთა საკავშირო ზამთრის ჩემპიონატის ფინალში იასპარეზა თბილისელმა ლეილა მესხმაც, რომელიც მოსკოველ ნატალია ბიკოვასთან ერთად გამოდიოდა წყვილში, სამწუხაროდ, მათ ფინალური შეხვედრა ლვოველ ლარისა სავჩენკოსთან და მოსკოველ სვეტლანა პარხომენკოსთან წააგეს და ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

გაბვასპარა თბილისელმა ვლადიმერ გოგოლაძემ, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატის ქალაქ ფერფაკსში გამართულ ამ ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა თასის ღია გათამაშებაში იშვიათ წარმატებას მიაღწია — შვიდი მედალი მოიპოვა. იგი უძლიერესი იყო ბჯენით ხტომებში, ორძელსა და ღერძზე ვარჯიშში. გარდა ამისა, კიდევ ოთხი მეორე ადგილი დაიკავა, მათ შორის მრავალჯიდშიც. ყველაფერი ეს მით უფრო სახიხარულოა, რომ ამ შეჯიბრებაში 22 ქვეყნის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები მონაწილეობდნენ.

საკავშირო ჩემპიონატმა, მძლეოსნურ კროსში, რომელიც ესტონეთში გაიმართა, 350-ზე მეტ სპორტსმენს მოუყარა თავი. ვაჟთა 12-კილომეტრიან დისტანციაზე ფინიშთან მესამე მიიჭრა თბილისელი ოლეგ სტრიჟაკოვი.

საქართველოს აკრობატებს ამ ბოლო დროს საკავშირო ჩემპიონატის გუნდურ პირველობაში მესამე ადგილი აქვთ „დაჯავშნული“. ისინი ერევანში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზეც მესამე ადგილზე გავიდნენ.

პირად პირველობაში თბილისელმა ფატი სულაქველიძემ ხტომებში ბრინჯაოს მედალი მიიღო.

კარგად აღებულ სტარტს წარმატებით აგრძელებენ ჩვენი ძიუდოისტები, რომელთა ნაწილი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. კონტინენტის პირველობისთვის ძალების ერთგვარი დათვალიერება იყო პრაღაში გამართული „განთავისუფლების თასის“ გათამაშება, რომელშიც 19 ქვეყნის უძლიერესი ძიუდოისტები მონაწილეობდნენ. საბჭოთა ძიუდოისტების მიერ მოპოვებული ოთხი ოქროს მედლიდან ორი გორელების წილად მოდის. გიორგი თენაძემ (72 კგ) და კობა კურტანიძემ (95 კგ) ყველა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგეს.

ინტერესი გამოიწვია პოტსდამში (გდრ) გამართულმა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირმაც, სადაც საბჭოთა ნაკრების წევრთაგან მხოლოდ აკაკი კიბორძალიძემ (მძიმე წონა) იასპარეზა თავი.

ჩვენს ძიუდოისტებს კარგი ცვლა ეზრდებათ. ამაზე მიუთითებს თბილისში სპორტის დამსახურებული ოსტატის ანზორ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა საერთაშორისო ტურნირი. ამ შეჯიბრებაში 28 ჯილდოდან 13 მედალი, მათ შორის 4 ოქროს, 3 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოსი, ქართველმა ძიუდოისტებმა მოიპოვეს.

საქართველოს ნაკრების წევრებმა: გ. ადიბეკოვმა (57 კგ-მდე), ვ. დგებუაძემ (68 კგ), ვ. ავალიანმა (83 კგ) და დ. ხახალეიშვილმა (მძიმე წონა) ყველა მეტოქე დაამარცხეს. ასეთი წარმატების შემდეგ, ჩვენმა ჭაბუკებმა, ცხადია, გუნდურ პირველობაშიც გაიმარჯვეს.

ლვოვში, 18-20 წლის ძიუდოისტთა საკავშირო შეჯიბრებაში ყველას აჯობეს თბილისელებმა ვახტანგ ჯაფარიძემ (65 კგ), დავით ფიცხელაურმა (72 კგ) და ვალერი პარუნაშვილმა (აბსოლუტური კატეგორია). ქართველმა ძიუდოისტებმა კიდევ ერთი ვერცხლისა და ხუთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ეს შეჯიბრება საუწყებო იყო. არაოფიციალურ გუნდურ შეჯიბრებაშიც საქართველოს ფალავნებმა იმარჯვეს.

ბაშკენტში, სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატზე მოლდავეთისა და ლიტვის გარდა ყველა გუნდი მონაწილეობდა. 82 კგ წონით კატეგორიაში თავისი ძალა დაამტკიცა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა, ევროპის ჩემპიონმა ჯემალ მჭედლიშვილმა.

დიდი პოპულარობით სარგებლობს სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ალექსანდრე მედვედის სახელობის პრიზის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. ამ შეჯიბრებაში, რომელიც მინსკში გაიმართა, საბჭოთა მოჭიდავეების გარდა მონაწილეობდნენ ავღანეთის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სირიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იაპონიის წარმომადგენლები. რა თქმა უნდა, ყველაზე პრესტიჟიულ წონაში, ალექსანდრე მედვედის წონაში (მძიმე), გამარჯვება ყველას ოცნება იყო. ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ აქ პირველობა არავის დაუთმო თბილისელმა ზაზა თურმანიძემ.

გაბვასპარა ნანა ალექსანდრიამაც, რომელმაც სამხრეთ ინდოეთის ქალაქ მადრასში გამართულ ქალთა დიდ საერთაშორისო ტურნირში I-II ადგილი ვაიყო.

ბოლო დროს დიდ წარმატებებს აღწევს თბილისელი ნინო სალუქვაძე, მარტში მან კიდევ ერთხელ გაგვახარა. ბრატისლავაში, ევროპის იუნიორთა შეჯიბრებაში, იგი უძლიერესი იყო პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში.

არხანგელსკში, ფიგურულ მოცურავეთა ტრადიციულ საკავშირო შეჯიბრებაში („ბელომორის თამაშებში“), თბილისელმა გიზო ბლიაძემ ერთეულთა თანრიგში მეორე ადგილი დაიკავა.

მარტში საკმაოდ გაიმართა ჩვენი ქვეყნისა და პროფკავშირული სპორტული საზოგადოებების იუნიორთა საკავშირო პირველობები. ამ შეჯიბრებებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ხუთი პირველი, ერთი მეორე და სამი მესამე ადგილი დაიკავეს.

ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

თბილისი

გამარჯვების პარკსა და მის შემოგარენს მორბენალი და მოვარჯიშე არასოდეს მოკლებია. აქ დარსა თუ ავდარში ერთნაირი ხალისით მოდის დიდი და პატარა. სხვათა შორის, ეს ადგილი ყოველგვარი პროპაგანდის გარეშე იქცა ჯანმრთელობის კერად. მისი პოპულარობა თანდათან იზრდება. მაინც რით იზიდავს ვაკის პარკი თბილისელებს?

პირველყოვლისა, შესანიშნავი ბუნებრივი ლანდშაფტით — ნაძვნარში ჩაკარგული მყუდრო ბილიკებითა და შემაღლებული ადგილებით, ზამთარ-ზაფხულ თავისებური სილამაზით რომ გამოირჩევა.

ამიტომ არავის გაკვირვებია, როცა ჯანმრთელობის მსოფლიო დღის აღსანიშნავად ბევრი სწორედ ამ პარკში მოვიდა. საასპარეზოდ პარკის სარბიელი აირჩიეს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებმა და მოსწავლეებმა.

დილიდანვე ახმაურდა პარკის ხეივნები, მორბენლები, მეტწილად მოსწავლეები, სხვადასხვა მანძილებზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. აქვე გაიმართა მძლეოსნური კროსი, პარკის მუდმივ სტუმრებთან 10 დაფაზე ერთდროული საჭადრაკო სეანსი გამართა საერთაშორისო ოსტატმა თამარ ხუციშვილმა. სარბიელზე გამოვიდნენ ძალოსნები, მაგრამ ყველაზე ხალისიანი გამოდგა შეჯიბრება ბაგირის გადაძალვაში.

ბოლოს გ. თეიმურაზიანის, მ. ადამაშვილისა და ო. ბადალიანის მედუდუკეთა დასტამ ზეიმის მონაწილენი და პარკის სტუმრები საჭიდაოზე იხმო. პრიზები გათამაშდა ქართულ ჭიდაობაში.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონის დირექციამ ფართოდ გაუღო კარი ზეიმის მონაწილეებს. სპორტის მოყვარულთა განკარგულებაში იყო 20 ჩოგბურთის მაგიდა, 25 ველოსიპედი, სტადიონის სარბენი ბილიკები და ფეხბურთის სათადარიგო მოედანი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უმრავლესობას მხოლოდ მაგიდის ჩოგბურთში სურდა ასპარეზობა.

ამ დღეს აქ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ინიციატივით გაიმართა პირველობა სიმძიმეების აწევაში. დიღმის ტყე-პარკში სპორტის მოყვარულები დილის 11 საათზე შეიკრიბნენ. აქ ოთხ საათს გაგრძელდა მხიარული სტარტები: საწარმო-დაწესებულებისა და სასწავლებლების კოლექტივები ძალას სცდიდნენ მძლეოსნობასა და ბაგირის გადაძალვაში, ფრენბურთში, ჭადრაკსა და შაშში.

საინტერესოდ ჩატარდა მძლეოსნური გარბენები 300 და 600 მეტრ დისტანციებზე. თავი ისახელეს 1 მაისის რაიონის 140-ე, 147-ე და 169-ე სკოლების წარმომადგენლებმა. ამ დღეს დიღმის ტყე-პარკში მოსული 1000-მდე ენთუზიასტი კმაყოფილი დაბრუნდა შინ. 5 აპრილი დიდხანს ემახსოვრებათ პატარებს, რომლებმაც ტოლი არაფერში დაუდეს უფროსებს. აქ ჩატარებული ღონისძიებების თაოსანი იყო პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება.

ქუთაისი

ციხე, წვიმიანი ამინდია დასავლეთ საქართველოში. 5 აპრილსაც წვიმდა, მაგრამ ქუთაისელი სპორტის მოყვარულები საკმაოდ კარგად მომზადებულები შეხვდნენ ჯანმრთელობის დღეს. ხალხმრავლობა იყო მუხნარის ტყეში. ტურიზმის მოყვარულები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბაგირის გადაძალვაში, სიმძიმეების აწევაში და სპორტის სხვა სახეობებში. იქვე, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ახლახან გახსნილ გამაჯანსაღებელ ცენტრში, მუშა-მოსამსახურეებმა საწარმოს პირველობა მოაწყვეს მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში.

საავტომობილო ქარხნის დასახლებაში სპორტკლუბ „კოლხიდის“ თაოსნობით ჩატარდა მძლეოსნური გარბენები და კროსი, ქალაქის სპორტდარბაზში გაიმართა შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, ფრენბურთში, კალათბურთში. ბევრი ენთუზიასტი შეიკრიბა ელექტრომექანიკური და ლითოფონის ქარხნების დარბაზებში, სადაც ამ საწარმოების მუშა-მოსამსახურეები, სამთოსამშენებლო ტექნიკუმის მოსწავლეები და პედაგოგები მინიფეხბურთსა და სხვა მოძრავ თამაშებში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

ვაჟებს არც გოგონები ჩამორჩენენ. სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსში ჩატარდა გოგონათა მატჩი ფეხბურთში. სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალურმა მატჩებმა ბალახის ჰოკეიში.



პედაგოგიური ინსტიტუტის დარბაზში 8 საათს გაგრძელდა „მხიარული სტარტები“, რომელშიც საშუალო სკოლებისა და ტექნიკუმის მოსწავლეებთან ერთად პედაგოგები, დირექტორები, ფიზკულტურის მასწავლებლებიც მონაწილეობდნენ.

ცხინვალი

ცხინვალის ცენტრალურ სტადიონზე საასპარეზოდ შეიკრიბნენ დინამოელი, ბურევესტნიკელი, სპარტაკელი სპორტსმენები, მუსიკალური და 131-ე პროფტექნიკური სასწავლებლების, ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები. პროგრამაში იყო კროსი, სიმძიმეების აწევა, ბაგირის გადაძალვა, ფეხბურთი...

ბანზუროვის ქუჩაზე მდებარე სპორტულ მოედანზე შეჯიბრება გამართეს სპორტსაზოგადოება „სპარტაკისა“ და ფეხბურთის სკოლის წარმომადგენლებმა.

სამხრეთ ოსეთის პედინსტიტუტის სპორტული ბაზა მინიფეხბურთში გამართულ მატჩს დაეთმო.

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნემ“ საჭიდაო დარბაზში საოლქო პირველობა ჩაატარა სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში. აქვე ასპარეზობდნენ ქალაქის მოსწავლე მოჭიდავეები.

ცხინვალის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დარბაზში შეჯიბრებები გაიმართა მაგიდის ჩოგბურთში აკრობატიკაში, კალათბურთში და ფრენბურთში.

„დინამოს“ წარმომადგენლებმა ტურისტული ლაშქრობა მოაწყვეს.

ამ დღეს ქალაქის სკოლების სპორტულ მოედნებსა და დარბაზებსაც მოასპარეზეთა ყიჟინა აცოცხლებდა.

ჯავის რაიონში დიდთოვლიანობის გამო შეჯიბრებების გამართვა ვერ მოხერხდა და ამიტომ ჯაველები საასპარეზოდ ცხინვალში ჩამოვიდნენ. მათთან ერთად ჩამოვიდნენ ლენინგორელი მოჭიდავეებიც.

რუსთავი

სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ საქალაქო საბჭომ XXI მიკრორაიონში მდებარე ჩოგბურთის კორტებზე გაიმართა საჩვენებელი ვარჯიში ბატუტზე ხტომაში, ფარიკაობაში, მოეწყო შეჯიბრება სიმძიმეების აწევაში, მოსწავლეები ერთმანეთს შეეჯიბრნენ მინიფეხბურთში, კალათბურთში, კრივში, ბაგირის გადაძალვაში. მოეწყო მასობრივი გარბენი. განსაკუთრებით აქტიურობდნენ პოლიტექნიკური ტექნიკუმის წარმომადგენლები. „მეტალურგის“ სტადიონზე სპორტის სხვადასხვა სახეობაში წვეევამდელები შეხვდნენ ერთმანეთს.

საწარმოო გაერთიანებების „აზოტის“, „ქიმიური ბოჭკოს“ და ამწემშენებელი ქარხნის ფიზკულტურელებმა ამხანაგური მატჩები გამართეს მაგიდის ჩოგბურთში, მინიფეხბურთში.

• • •

ჩვენი კორესპონდენტების სხვა ინფორმაციები „ლელოს“ ხვალინდელ ნომერში გამოქვეყნდება.

ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲔᲜᲐᲓᲘ ᲒᲝᲓᲣᲜᲝᲕᲘ

დასასრული

ვერ გაუძლო მხოლოდ ოლეგ ტიხონოვმა, რომელიც ფინიშამდე 15 კილომეტრით ადრე ჩამორჩა ლიდერთა ჯგუფს.

ეტაპი მამუკა გვარაძემ მოიგო — 3:11.35. მეორე და მესამე ადგილები ტარიელ სამადაშვილმა (3:11.36) და ვახტანგ პაპუაშვილმა (3:11.37) დაიკავეს. გუნდური გამარჯვება „განთიადმა“ მოიპოვა — 9:35.37, მომდევნო ადგილები რუსთაველისა (9:36.30) და იუგოსლავიის (9:37.18) ველოსიპედისტებმა დაისაკუთრეს.

ექვსი ეტაპის ჯამში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: პირად ჩათვლაში — 1. გენადი გოდუნოვი (ასკ თბილისი) — 17:35.13, 2. მიხეილ კნიაზევი („ტრუდი“, ხერსონი) — 17:35.19, 3. აივარ სკუტელისი (ლატვია) — 17:35.47. გუნდური ჩათვლა — 1. ლატვია I — 52:54.03, 2. „განთიადი“ — 53:01.59, 3. „ტრუდი“ (ხერსონი) — 53:08,04.

როგორც შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა საერთაშორისო არბიტრმა იოსებ გოცირიძემ განაცხადა, ველოსიპედისტებს ბრძოლა უმთავრესად უხეირო ამინდში მოუხდათ. ამან, რა თქმა უნდა, გარკვეული დაღი დაასვა რბოლის საერთო სისწრაფეს. და მაინც ბრძოლა თითქმის ყველა ეტაპზე დაძაბული და საინტერესო იყო. ამ რბოლის შემდეგ შეიჩარა რესპუბლიკის ნაკრები გუნდი, რომელიც იუგოსლავიის მრავალდღიან ველოსრბოლაში მიიღებს მონაწილეობას. ცუდი ამინდის მიუხედავად მონაწილეებმა კარგი ფიზიკური მომზადება გამოამჟღავნეს. სამოცდაორი ველოსიპედისტიდან რბოლა ორმოცდახუთმა დაამთავრა. ესეც კარგი მაჩვენებელია და მოწმობს იმას, რომ ახალგაზრდა სპორტსმენებმა მძიმე გამოცდა ღირსეულად ჩააბარეს.

V ტურის სტატისტიკა

2-3 აპრილს გაიმართა სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის V ტურის შეხვედრები. ტურის სტატისტიკური მონაცემები:

„დინამო“ (კიევი) — „დნეპრი“ 1:2 (0:0). გოლები: შოხი, პროტასოვი („დნეპრი“), ბელანოვი („დინამო“).

გაფრთხილეს დნეპროპეტროვსკელი ლიუტი და ტიშჩენკო.

დუბლიორები — 2:4.

ცსკა — „მეტალისტი“ 2:0 (1:0). არმიელთაგან ორივე ბურთი გაიტანა ტატარჩუკმა.

დუბლიორები — 4:0.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ — ვ. მიმინოშვილი, შ. ხანიაშვილი (თბილისი), ჯ. წერეთელი (რუსთავი).

„შახტიორი“ — „სპარტაკი“ 0:0.

დუბლიორები — 3:0.

„ტორპედო“ — „დინამო“ (მოსკოვი) 2:0 (2:0). ბურთები პირველ ტაიმში გაიტანეს აგაშკოვმა და ი. სავიჩევმა.

გაფრთხილეს დინამოელი ნოვიკოვი.

დუბლიორები — 0:0.

„არარატი“ — „უალგირისი“ 1:2 (1:1). დაწინაურდნენ ერევნელები (ქოჩარიანი), საპასუხო ბურთი გაიტანა რასიუკასმა, ხოლო გადამწყვეტი — რუზგასმა.

SAერთაშორისო

კვირას თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში, ადგილობრივმა „შევარდენი“-სპი-მ მიიღო შვეიცის „ევლე“-იფ

დუბლიორები — 1:1.

„ნეფთჩი“ — „დინამო“ (მინსკი) 0:0.

დუბლიორები — 1:0.

● **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა შორის წინაა მოსკოველი არმიელი ვ. ტატარჩუკი, რომელმაც 4 ბურთი გაიტანა, 3-3 გოლია კიეველი ფეხბურთელების ი. ბელანოვისა და ა. ზავაროვის, დნეპროპეტროვსკელების ო. პროტასოვისა და ო. ტარანის, აგრეთვე, სპარტაკელი ს. როდიონოვის ანგარიშზე.

„დნეპრის“ თავდამსხმელი ო. პროტასოვი, ალბათ, სულ მალე გ. ფედოტოვის სახელობის ასიანთა კლუბის წევრი გახდება: კიდევ 4 გოლი და მის პირად ანგარიშზე 100 გატანილი ბურთი იქნება.

● **მოსკოვის** „სპარტაკი“ ერთადერთი გუნდია, რომელსაც საიუბილეო ჩემპიონატში ჯერ არც ერთი დამარცხება არ განუცდია, ლანჩხუთის „გურიამ“ პირველი გამარჯვება მოიპოვა, კიევის „დინამომ“ პირველი მარცხი იწვნია, მხოლოდ ბაქოს „ნეფთჩისა“ და თბილისის „დინამოს“ არა აქვთ მოპოვებული არც ერთი გამარჯვება.

● **მსაჯებმა** მიმდინარე გათამაშებაში სულ 15 პენალტი დანიშნეს, აქედან 13 — სტუმრების კარში, ხუთი 11-მეტრიანი რეალიზებული არაა.

● **ჩემპიონატის** პირველი გაძევება ფიქსირებულია ლანჩხუთის „გურიისა“ და ალმა-ათის „ქაირათის“ მატჩში. ალმაათელი ფეხბურთელი გრიჯანი ჯერ გაფრთხილეს, შემდეგ კი მინდვრიდან გააძევეს.

● **ხარკოვის** „მეტალისტისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩში არასწორად იყო აღნიშნული, რომ გაფრთხილეს დინამოელი გ. კეტაშვილი. ყვითელი ბარათი ნ. ჯაკელაშვილმა დაიმსახურა.

SაერთაშორისO

კვირას თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში, ადგილობრივმა „შევარდენი“-სპი-მ მიიღო შვეიცის „ევლე“-იფ ტორნედალენსი), საინტერესო მატჩი მოიგეს თბილისელმა ფეხბურთელებმა — 3:1.

დღეს შვედი ფეხბურთელები გორში შეხვდებიან „დილას“, ხოლო 9 აპრილს თბილისში ითამაშებენ „დინამოსთან“.

დებიუტი ექვს ქალაქში

დასასრული

მხოლოდ 28-ე წუთზე დეწივნენ. მეორე ბრძოლა ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. სტუმრებმა გადამწყვეტ უპირატესობას მატჩის მიწურულში მიაღწიეს.

რუსთავი — „დინამო“ (თბილისი) 73:71 (27:30) და 62:63 (33:30). მსაჯები: საკავშირო კატეგორიის მსაჯი გ. ოსიაშვილი (თბილისი) და პირველი კატეგორიის მსაჯი ა. ანდრიაძე (სამტრედია). კომისარი — საკავშირო კატეგორიის არბიტრი ტ. ჯაფარიძე (წულუკიძე).

მატჩის დაძაბულობასა და სიმძაფრეზე ყველაზე ზუსტად ანგარიში მიგვანიშნებს. „დინამოს“ ახალგაზრდულმა კოლექტივმა (იგი უმთავრესად 1970 წელს დაბადებული კალათბურთელებითაა დაკომპლექტებული) ეს სერიოზული გამოცდა ძლიერ კოლექტივთან წარმატებით ჩააბარა.

თელავი — „სინათლე“ (თბილისი) 116:137 (42:71) და 83:93 (43:48). მსაჯები: საკავშირო კატეგორიის მსაჯი რ. გოგელია (თბილისი) და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ა. როსტომაშვილი (თბილისი). კომისარი — გ. სვანიძე (თბილისი).

გუნდები აქცენტს უმთავრესად თავდასხმაზე აკეთებდნენ. სწორედ ამან განაპირობა ორივე მატჩში ესოდენ დიდი ანგარიში. „სინათლის“ გამარჯვება ლოგიკური იყო, ვინაიდან გუნდი გამოცდილი კალათბურთელებითაა დაკომპლექტებული.

„მართვე“ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 76:78 (37:41) და 73:89 (49:45). მსაჯები: პირველი შეხვედრისა — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი გ. ავალიშვილი (თბილისი) და I კატეგორიის მსაჯი გ. მოლოდინაშვილი (თბილისი), მეორე შეხვედრისა — საკავშირო კატეგორიის არბიტრი თ. კაკაურიძე (თბილისი) და გ. მოლოდინაშვილი.

პირველ შეხვედრაში „მართვეს“ ახალგაზრდა კალათბურთელებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს. 25-ე წუთამდე ანგარიში სტუდენტებს მიჰყავდათ, მერე „მართვე“ დაწინაურდა. თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე სადემონსტრაციო დაფა ფრეს (74:74) აჩვენებდა. ბოლოს მაინც სტუდენტთა გამოცდილებამ იმძლავრა. მეორე შეხვედრაში ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელთა უპირატესობა უფრო საგრძნობი იყო.

ქუთაისი — ბათუმი 73:66 (34:37) და74:67 (34:36). მსაჯები: საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი რ. ხომერიკი (თბილისი) და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ე. კაპანაძე (თბილისი). კომისარი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. მესხი.

შეხვედრამ ქუთაისელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. სამწუხაროდ, ადგილების სიმცირის გამო ყველა მსურველი ვერ დაესწრო თამაშს. არადა მასპინძელთა ღირსებას იცავდა თბილისის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, ამ ქალაქის სპორტულ ორგანიზაციებში აღზრდილი გელა დარსაძე. მისმა აზრიანმა და უნარიანმა თამაშმა გადაწყვიტა კიდეც ამ ორთაბრძოლის ბედი. ქების სიტყვებით უნდა მოვიხსენიოთ დამარცხებული გუნდიც. ბათუმელებმა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოამჟღავნეს.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სინათლე“ (თბ.)	2	2	0	230-199	4
უნივერ. (თბ.)	2	2	0	172-151	4
ფიზ. ინს. (თბ.)	2	2	0	167-149	4
სპი (თბ.)	2	2	0	166-152	4
ქუთაისი	2	2	0	147-133	4
რუსთავი	2	1	1	135-134	3
„დინ.“ (თბ.)	2	1	1	134-135	3
ბათუმი	2	0	2	133-147	2
სოხუმი	2	0	2	152-166	2
„მართვე“ (თბ.)	2	0	2	149-167	2
გორი	2	0	2	151-172	2
თელავი	2	0	2	199-230	2

I ლიგა

„დინამო“ (ბათუმი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 1:0 (0:0).

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 4 აპრილი.

„დინამო“: ბალაძე, გოგიტიძე, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია, კიკლიაშვილი, არზიანი, ბარათაშვილი, უგრელიძე, ვლასენკო.

ასკ „კარპატი“: შიპოვსკი, გამალი, ბუნიაკი, პასეჩნიკი, ვოიტიუკი, სმოტრიჩი, იაროში (პეტრიკი), შკვირინი, კუხლევსკი, სივერინი (კოგუტი), ბონდარჩუკი.

მსაჯი ა. ლუნინი (მოსკოვი).

I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების სასტარტო მატჩს ბათუმში კოკისპირული წვიმა დაესწრო, გარდა ამისა, ძლიერი ქარი საგრძნობლად უშლიდა ხელს ფეხბურთელებს. და, მაინც, თამაში საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა, საზეიმო ვითარებაში აღიმართა გათამაშების დროშა.

ბათუმელი და ლვოველი ფეხბურთელები წარსული წლების შეჯიბრებათა განმავლობაში სულ რვაჯერ შეხვედრიან ერთმანეთს, მეტოქეებმა ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს, 4 მატჩი კი ფრედ დაამთავრეს. პირველი 15-20 წუთის თანაბარი ბრძოლის შემდეგ ინიციატივა ბათუმელებმა აიღეს ხელთ, ჯერ კიკლიაშვილმა შექმნა სახიფათო მომენტი მეტოქის კართან, შემდეგ — ვლასენკომ, ზედანიამ, მაგრამ საიმედოდ ითამაშა შიპოვსკიმ. ტაიმის დასასრულს ბრძოლამ მასპინძელთა მხარეს გადაინაცვლა, ახლა მეკარე ბალაძემ ორჯერ ისახელა თავი შკვირინთან და კუხლევსკისთან ბრძოლაში.

შესვენების შემდეგ უპირატესობას ისევ დინამოელები დაეუფლნენ, 57-ე წუთზე უგრელიძის შორეული დარტყმა მეკარემ მოიგერია, აქ ბურთს ყველაზე ადრე ვლასენკომ მიუსწრო და გაიტანა გოლი, რომელმაც ბათუმელებს გამარჯვება მოუტანა. მატჩის დასასრულს ლვოველები ხშირად უტევდნენ, სახიფათო მომენტებსაც ქმნიდნენ, მაგრამ დინამოელებმა შეინარჩუნეს გამარჯვება და პირველი 2 ქულაც ღირსეულად ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში.

საუკეთესო მოთამაშეთათვის დაწესებული პრიზები გადაეცათ გ. ზედანიას და ს. პასეჩნიკს, პირველი გატანილი ბურთისთვის ჯილდო მიიღო ი. ვლასენკომ.

ოთარ მურვანიძე.
(ტელეფონით. ჩვენი კორ.).

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — 0:2 (0:1).

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 4 აპრილი.

„ტორპედო“: ტყებუჩავა, ფრუიძე (ხარაბაძე), გ. თევზაძე, პაპაქა, შამათავა, შენგელია, ფესტვენიძე, მანაგაძე, ტყავაძე, თვარაძე (გოგელიძე), კვირნაძე.

„ჩერნომორეცი“: გრიშკო, ნაკონჩნი (გაიდარუი), ყარკოვი, იშჩაკი, პლოსკინა, ტრეტიაკი, საველიევი, შჩერბაკოვი, სეკინაევი (სტრიფაკოვი), ზირჩენკო, პერეპადენკო (ტიშჩენკო).

მსაჯი: ვ. სოკოლოვი (მოსკოვი).

ჩემპიონატის სტარტზე ქუთაისის „ტორპედოს“ ახალგაზრდულ შემადგენლობას (დიახ, ჩვენი გუნდი ერთ-ერთი ყველაზე „უმცროსია“ პირველ ლიგაში, მის წევრთა საშუალო ასაკი 21 წელია) გამოცდის ჩაბარება მოუხდა ისეთ გამოცდილ კოლექტივთან, როგორიც „ჩერნომორეცია“. მართალია, ოდესელებმა ჩვენს გუნდთან ერთად დატოვეს უმაღლესი ლიგა, მაგრამ წლევანდელ სეზონში მიზნად დაისახეს კვლავ მოიპოვონ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება.

მატჩის დაწყებამდე გუნდების კაპიტნებმა აღმართეს ჩემპიონატის ალმი და „ტორპედოსათვის“ ძნელი სეზონი დაიწყო. მასპინძლები ენერგიულად მოქმედებდნენ და რამდენიმე სწრაფი კომბინაციაც განახორციელეს, მაგრამ ოდესელები აუღელვებლად იცავდნენ თავს და როგორც კი მიეცათ შესაძლებლობა, მწვავე კონტრშეტევა წამოიწყეს. მე-10 წუთზე ტყებუჩავას შჩერბაკოვს ძლიერი საჯარიმო დარტყმის მოგერიება მოუხდა.

მაშინ, როცა შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და არც ერთ მხარეს სერიოზული საფრთხე არ ემუქრებოდა, ქუთაისელმა მცველებმა უყურადღებოდ დატოვეს მარჯვენა ფრთა, სადაც საველიევმა სწრაფი რეიდი განახორციელა და ბურთი ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ შჩერბაკოვს მიაწოდა. მისი დარტყმა ზუსტი გამოდგა—1:0.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე სტუმრებმა ანგარიში ორამდე გაზარდეს. მეკარისა და მცველების შეუთანხმებელი თამაშით ამჯერად პერეპადენკომ ისარგებლა და მატჩის ბედი მისმა ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა — 2:0.

ახალგაზრდა, გამოუცდელმა ქუთაისელმა ფეხბურთელებმა ვეღარ შეძლეს მობილიზება და დამარცხდნენ ძლიერ მეტოქესთან.

ვფიქრობთ, მარცხი არ დააბნევს კოლექტივს. გუნდის ოითოეული წევრი გააანალიზებს ამ მატჩში დაშვებულ შეცდომებს და დღევანდელ შეხვედრას არანაკლებ ძლიერ და გამოცდილ მეტოქესთან უკეთესად ჩაატარებს.

„ლელოს“ საკ. კორ.

სხვა მატჩები:

4 აპრილს დაიწყო I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება. პირველი ტურის შედეგები: ასკ (დონის როსტოვი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:1, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:1, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 0:2, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 0:0, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 0:1, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:3, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „დინამო“ (ზაპოროჟიე) 2:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 2:1.

კარგი სტარტი

ქართველი გოგონები ლიდერთა შორის

ჟელეზნოვოდსკი (ტელეფონით, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი). 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში კარგად აიღეს სტარტი ნათია ჯანჯღავამ და ჰენრიეტა ლაგვილავამ. ისინი ლიდერთა ჯგუფში არიან. გთავაზობთ II, III და IV ტურების შედეგებს: ტერელაძე — ლაესონი — 1:0, კახიანი — ბელაკოვსკაია — 1:0, ჯანჯღავა — ბოროდულინა — 1:0, გალიამოვა — ნიკოლაძე — 1:0; მატვეევა — ლაგვილავა — 1:0, ზაიაცი — სოფიევა — 1:0, სედინა — ველიხანლი — 1:0, ჯანჯღავა — ნიკოლაძე — 1:0, სედინა — კახიანი — 1:0, მატვეევა — ლაესონი — 1:0, ლაგვილავა — ბელაკოვსკაია — 0,5:0,5 სოფიევა — ველიხანლი — 1:0, ტერელაძე — გალიამოვა — 1:0, ბოროდულინა — ზაიაცი — 0,5:0,5, ჯანჯღავა — ზაიაცი — 0:1, ველიხანლი — ბოროდულინა — 0,5:0,5, კახიანი — სოფიევა — 1:0, ლაგვილავა — სედინა — 1:0, ლაესონი — ბელაკოვსკაია — 0:1, გალიამოვა — მატვეევა — 0:1, ნიკოლაძე — ტერელაძე — 1:0.

ამრიგად, 4 ტურის შემდეგ 4 ქულით დაწინაურდა სვეტლანა მატვეევა. ნათია ჯანჯღავას 3 ქულა აქვს. ჰენრიეტა ლაგვილავამ და ელენა ზაიაცმა 2,5-2,5 ქულა მოაგროვეს, ქეთევან კახიანს, სოფიკო ტერელაძეს, აინურ სოფიევას, ელენა სედინასა და ნადეჟდა ბელაკოვსკაიას 2-2 ქულა აქვთ.

გიორგი მაჭარაშვილი.

ჭიშმარიტი საჭადრაკო ფესტივალი

დასასრული

თვის, რასაც ისინი ჩვენს მიმართ იჩენდნენ. ვფიქრობ, კარგი იქნება თუ ასეთი შეხვედრები ტრადიციად იქცევა.

სასიამოვნო იყო სტუმრისგან ამის მოსმენა. დიახ, შეჯიბრება მართლაც კარგად იყო ორგანიზებული, ხოლო თვით მატჩი ჭადრაკის ნამდვილ ზეიმად გადაიქცა.

ნონა გაფრინდაშვილი: თვით ამგვარი მატჩის გამართვის ფაქტია საყურადღებო. ასეთ კონტაქტებს უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ჭადრაკის პროპაგანდისა და პოპულარიზაციისთვის. რაც შეეხება ასპარეზობას, იუგოსლავიელები დიდ ყურადღებას აქცევენ საკლუბო შეჯიბრებებს, კლუბის ინტერესები მათთვის ყველაფერია. ამიტომაა სწორედ გუნდურ შეხვედრებში რომ არიან ისინი ძალიან ძლიერები. ჩვენ კი ამ მატჩისთვის საგანგებოდ არ მოვმზადებულვართ. სულ რამდენიმე დღეში გადაწყდა ასეთი შეხვედრის ჩატარება. სწორად გამიგეთ. ჩვენს დამარცხებას კი არ ვამართლებ, მინდა იცოდეთ, რომ მართლაც ძლიერ მოჭადრაკეებს ვეთამაშეთ.

● ● ●

იუგოსლავია—საქართველოს მატჩის მეორე შეხვედრაში გუნდების ლიდერები მაია ჩიბურდანიძე და მიშო ცებალო კვლავ ყაიმზე შეთანხმდნენ. მაიამ დებიუტშივე მიიღო უპირატესობა, მაგრამ მეტოქე ზუსტად იცავდა თავს. პარტია თანდათან გამარტივდა და მოჭადრაკეები დაზავდნენ.

ნონა გაფრინდაშვილი შავებით ეთამაშებოდა დუშან რაიკოვიჩს. მსოფლიოს ექსჩემპიონმა თავიდანვე შებოჭილი თამაში მიიღო და პარტია იუგოსლავიელი მოჭადრაკისთვის უკეთეს პოზიციაში გადაიდო.

ნანა ალექსანდრია თეთრებით რევანშის ასაღებად იბრძოდა სვობოდან მარტინოვიჩთან. მან ხომ წინა ტურში მეტოქის მიერ შეთავაზებული ყაიმი უარყო და დათმო ორთაბრძოლა. ცაიტნოტი მოახლოებული იყო, არადა პოზიცია ბევრ ფიქრს მოითხოვდა. ამიტომ ისინი ცდილობდნენ ფიგურები გაეცვალათ. ეტლების გაცვლის შემდეგ საყაიმო პოზიცია შეიქმნა და პარტიის გადადების წინ მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

სხვათა შორის, ცნობისთვის აქვე ვიტყვით, რომ სხვადასხვა დროს მარტინოვიჩი ორჯერ დაუზავდა მსოფლიოს ექსჩემპიონს ანატოლი კარპოვს.

მეორე შეხვედრაში ახმილოვსკაია ისვენებდა. მის ნაცვლად ნენად რისტიჩს საერთაშორისო ოსტატი ქეთევან არახამია ეთამაშა. ახალგაზრდა ქართველი მოჭადრაკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან საკმაოდ დამაჯერებლად წარმართა პარტია და ლაზიერებისა და ეტლების ენდშპილში ნამდვილ საყაიმო ვითარებაში დაუზავდა მეტოქეს.

ნანა იოსელიანმა მოსაგებ პოზიციაში უხეში შეცდომა დაუშვა, სასტიკ ცაიტნოტში ჩავარდა და პარტია დათმო. ასე რომ, წინა დღით დამარცხებულმა ჟივონ ლიუბოსავლიევიჩმა რევანში აიღო.

მომჩილო დესპოტოვიჩ—ნინო გურიელის პარტიაში ქართველ დიდოსტატს შეეძლო აქტიურად ეთამაშა, მაგრამ ერთ მომენტში f5 სვლა გამორჩა. სტუმარმა კარგად გამოიყენა მეტოქის შეცდომა, აქტიური პოზიცია მიიღო და გაიმარჯვა.

კვირას, დილით, შეხვედრები მოეწყო გადადებული პარტიების დასამთავრებლად. რაიკოვიჩი, პირველი ტურის პარტიაში თამაშის განუახლებლად დანებდა გაფრინდაშვილს, მეორე პარტიაში კი პოზიციური უპირატესობა გამოიყენა და გაიმარჯვა.

გურიელისა და დესპოტოვიჩის დავა დიდხანს გაგრძელდა და ბოლოს ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, ამ მეტად საინტერესო ძატჩის ანგარიშია 7,5:4,5 იუგოსლავიის კლუბ „გოშას“ ვაჟთა გუნდის სასარგებლოდ.

ჩვენმა მოჭადრაკე ქალებმა თქვეს, რომ ისინი აქედანვე შეუდგებიან მზადებას რევანშის ასაღებად. განმეორებითი მატჩის ჩატარებას სექტემბერში ვარაუდობენ.

თამარ ხუბაშვილი,
საერთაშორისო ოსტატი.

ჭაბუკ წყალბურთელთა საკავშირო პირველობა

ყველას თავის საზრუნავი აქვს

ამ ზაფხულს საბერძნეთში ევროპის ჭაბუკ წყალბურთელთა (1969-70 წწ. დაბადებულნი) პირველობა გაიმართება. შეჯიბრების მონაწილე გუნდები ამ ასპარეზობისთვის უკვე იჭერენ თადარიგს. კონტინენტის პირველობისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპია ამავე ასაკის ჭაბუკთა საკავშირო პირველობა, რომლის წინასწარი თამაშები ჩვენი ქვეყნის ქალაქებში გაიმართა.



როგორც იცით, ერთ-ერთი ჯგუფის წინასწარ ასპარეზობას თბილისის ვაკის საცურაო აუზი მასპინძლობდა. როგორც ვიუწყებოდით, აქ გამართულ შეჯიბრებაში მასპინძლებთან — თბილისის განათლების სამმართველოს გუნდთან ერთად იასპარეზეს მოსკოვის „შრომითი რეზერვების“, ლენინგრადის „ვოდნიკის“, კიევის „დინამოს“, ფრუნზეს ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლისა და ტაშკენტის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სპორტსკოლის წარმომადგენლებმა. მათგან შეჯიბრების შემდგომ ეტაპზე გასვლის უფლება, ასპარეზობის დებულების მიხედვით, ოთხმა გუნდმა მოიპოვა. ესენი: „დინამოს“, განათლების სამმართველოს, „შრომითი რეზერვებისა“ და „ვოდნიკის“ გუნდები.

წინასწარ შეჯიბრებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, დინამოელებმა გაიმარჯვეს.

ამ კოლექტივის ღირსებას სამი სპორტის ოსტატი და ოთხი ოსტატობის კანდიდატი იცავდა. მათგან ხუთი კიევის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდის მოთამაშეა. უკრაინელი სპორტსმენები არა მარტო წინასწარი თამაშების ფავორიტები იყვნენ, არამედ ფინალურ ტურნირში გამარჯვების პრეტენდენტებადაც ითვლებიან.

კიეველებმა თბილისში ყველა მეტოქე იოლად და დიდი ანგარიშით დაამარცხეს.

თბილისელთა გუნდში ორი სპორტის ოსტატი იყო. ერთ-ერთმა მათგანმა — ნოდარ ჩოლარიამ ჩვენი ქვეყნის ხალხთა საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრები გუნდის სხვა წევრებთან ერთად ვერცხლის მედალი დაიმსახურა. დანარჩენები პირველი-მეორე თანრიგოსნები იყვნენ...

ჩვენმა წყალბურთელებმა დაამარცხეს ლენინგრადის (12:7), მოსკოვის (13:10), ფრუნზეს (17:11) და ტაშკენტის (13:12) გუნდები.

— თბილისელთა საბოლოო შედეგით კმაყოფილი ვართ, — გვითხრა საქართველოს სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა წყალბურთში ჯიმშერ თორთლაძემ. — მაგრამ ერთია შედეგი და სულ სხვა თამაშის ხარისხი. თბილისელთა ნაკლი, როცა გუნდი გამარჯვებული ტოვებდა სარბიელს, თვალში საცემი არ იყო, მაგრამ ძლიერ მეტოქესთან, კიევის „დინამოსთან“ შეხვედრამ ბევრი ხარვეზი წარმოაჩინა. ეს მატჩი თბილისელებმა ანგარიშით 8:15 წააგეს. ასე რომ, ჩვენს წყალბურთელებს ოსტატობის დასახვეწად კიდევ ბევრი მუშაობა მართებთ. ეს მეტნაკლებად ყველაზე ითქმის — გუნდის სათადარიგო წევრებზეც და ლიდერებზეც, მათ შორის პაატა ჩიტაძეზეც, რომელიც მისი ასაკის წყალბურთელთა საკავშირო ნაკრებშია. იმ ასაკის წყალბურთელებს, ამ შეჯიბრებაზე რომ გამოდიოდნენ, უკვე უმაღლესი ლიგის გუნდებში იწვევენ, მაგალითისთვის კიევის „დინამოს“ დავასახელებ. ჩვენ კი საქართველოს უპირველეს გუნდში ვერავინ მოგვიწვევია. თუმცა, ვიმეორებ, თუ ბიჭები მეტი მონდომებით ივარჯიშებენ, თბილისის „დინამოს“ რეზერვი, ალბათ, გაიზრდება.

შეჯიბრების შემდეგ ჩვენი ქვეყნის ჭაბუკ წყალბურთელთა საკავშირო ნაკრების უფროს მწვრთნელს ვლადიმერ საფრონოვს ვესაუბრეთ.

— მე, როგორც ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, ბუნებრივია, ყველა გუნდისა და სპორტსმენის თამაშს ყურადღებით ვაკვირდებოდი, — გვითხრა მან, — ევროპის იუნიორ წყალბურთელთა პირველობისთვის საუკეთესოებს ვარჩევთ, მაგრამ, სამწუხაროდ, არჩევანი დიდი არა გვაქვს. სპორტსმენებისა და მაშასადამე გუნდების ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადებაც სუსტია. წყალბურთელებს განსაკუთრებით ტყორცნის ტექნიკა არ უვარგათ. არც სპორტსმენთა ანთროპომეტრიული მონაცემები გვაკმაყოფილებს — ტანმაღალი წყალბურთელები მხოლოდ კიეველთა გუნდშია.

ერთი სიტყვით, ნაკრების უფროს მწვრთნელს თავისი საზრუნავი აქვს, გუნდებს კი საკუთარი პრობლემები აწუხებთ.

ჭაბუკ წყალბურთელთა საკავშირო შეჯიბრების ნახევარფინალური შეხვედრები მაისში გაიმართება და იმედია, რომ თბილისელები თავიანთი ნაკლის გამოსწორებას შეეცდებიან და ფინალისკენ გაიკაფავენ გზას.

ავთანდილ გურასაშვილი.

ავტორის ფოტო.

პატივი ვცემთ გულშემატკივარს

დღეს ჩვენს ფეხბურთს არ ულხინს და ამას ყველა გულით განიცდის. რესპუბლიკის უპირველესი გუნდის „დინამოს“ თაყვანისმცემლები იმედს არ კარგავენ და, ბუნებრივია, ეს იმედი ახალგაზრდა ფეხბურთელებსაც უკავშირდება. ბევრი დადის „დინამოს“ დუბლიორთა მატჩებზე, რათა საკუთარი თვალით იხილოს, ვინ და როგორ თამაშობს. მაგრამ ამ ბოლო დროს ისედაც გაოგნებულ გულშემატკივარს კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩნდა — ზუსტად არ იცის, როდის, სად და რომელ საათზე ითამაშებენ „დინამოს“ დუბლიორები.

წესი ასეთია: საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველო და „დინამოს“ ხელმძღვანელობა ერთობლივად წყვეტენ დუბლიორთა მატჩის ადგილის საკითხს. შემდეგ კი, როცა რედაქციებს ჩემპიონატის მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრის შესახებ გამოსაქვეყნებლად განცხადება ეგზავნებათ, იქვე მინიშნებულია, სად და რომელ საათზე ჩატარდება მატჩი. „ზენიტთან“ „დინამოს“ შეხვედრის შესახებ გამოგზავნილ განცხადებაში, როგორც წესი, მითითებული იყო დუბლიორთა მატჩის ადგილი და დროც (მცხეთა, 2 აპრილი, 17 საათი). მაგრამ აი, „ქაირათთან“ შეხვედრის განცხადებაში დუბლიორების თამაშის შესახებ არაფერი იყო ნათქვამი. რედაქცია, ცხადია, ცვლილებას განცხადებაში თვითნებურად ვერ შეიტანდა, მაგრამ შეეცადა გაერკვია გაუგებრობა. სამწუხაროდ, გადაჭრით ვერავინ ვერაფერი გვითხრა. სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველომ არც ხუთშაბათს მოგვაწოდა რაიმე ცნობა, არც პარასკევს. ერთი სიტყვით, ვერაფერი შევიტყვეთ და ჩვენც ვერაფერი ვაცნობეთ მკითხველს. ერთი კია, ეს რეპლიკა ალბათ კვირას უნდა გამოგვექვეყნებინა, იმავე დღეს უნდა აგვეტეხა განგაში. თუმცა, შაბათსაც დღის ბოლომდე ველოდით ცნობას, რომ იქნებ კვირის ნომერში მაინც გვეუწყებინა მაყურებლისთვის, სად ჩატარდებოდა დუბლიორთა მატჩი.

რატომ არ ვცემთ პატივს გულშემატკივარს? რა ქნას მაყურებელმა თუკი რედაქციაშიც კი მატჩის ჩატარების თაობაზე ცნობას მხოლოდ შეხვედრის დღეს ვიღებთ?

ვფიქრობთ, ეს ფაქტი საგანგებო მსჯელობის საგნად იქცევა და უპასუხისმგებლობა აღარ გამეორდება.

ნელსაც პირველ ადგილზე

ბაკოში გამართულ სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატების პირად-გუნდურ IX საკავშირო პირველობაზე სასპარეზოდ 17 გუნდი შეიკრიბა. სარბიელზე 210 თავისუფალი სტილის მოჭიდავე გამოვიდა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა 47 ქულა მოაგროვეს და გუნდურ ჩათვლაში, ისე როგორც შარშანწინ, პირველი ადგილი დაიკავეს. მათ 7 ქულით ჩამორჩნენ კიეველები, 8 ქულით — ალმაათელები.

პირად პირველობაში გაიმარჯვეს მეათეკლასელებმა კახა გეგუჩაძემ (60 კგ) და აკაკი გაბედავამ (80 კგ). ვერცხლის ჯილდო დაისაკუთრა კახა ჯაბიძემ (74 კგ), ბრინჯაოსი — რამაზ ბუზარიაშვილმა (87 კგ) და გიორგი ჯანელიძემ (87). ექვსეულში მოხვდა მათი ყველა თანაგუნდელი (აღსანიშნავია, რომ ამ ასპარეზობის შედეგები და ქულები რესპუბლიკის საერთო ქულათა ყულაბაში შედის). ხუთივე ქართველი ფალავანი ჭაბუკთა საკავშირო ნაკრებში შეიყვანეს.

ამ შეჯიბრებაში გეგუჩაძემ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. მან ფინალურ ბრძოლაში დაამარცხა ჭაბუკთა წლეულდელ საკავშირო პირველობაში გამარჯვებული უარაგანდელი ჰ. სიხლინი. გაბედავამ ფინალში გასასვლელი ბრძოლა მოუგო ასევე ჭაბუკთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, ლვოველ ნ. გაბრინიუკს.

უნდა ითქვას, რომ სპორტული სკოლა-ინტერნატი საიმედო რეზერვს უზრდის საქართველოს ნაკრებს. ჩვენი რესპუბლიკის პირველი გუნდის ღირსებას იცავენ ინტერნატის აღზრდილები: საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი ავთანდილ გოგოლიშვილი, ამავე სპარტაკიადის მეორე პრიზიორი ზაზა თურმანიძე, საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული გოჩა გაბოძე, ევროპის ჩემპიონები ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის ლევან ებანოიძე და ზაზა ტყეშელაშვილი, სსრ კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ანზორ გოგრიჭიანი, პრიზიორი კობა კურტანიძე, სსრ კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის ზაზა ბენდიანაშვილი, პრიზიორი გიორგი ივანიშვილი. მათ წარმატებებს ამრავლებენ ნიჭიერი ახალგაზრდები. ამის საწინდარია ინტერნატელ ფალავანთა წარმატებები.

გაბრიელ გარჯაძე,
სპორტის ოსტატი.

რენკიუ

ნახეთ, იქნებ გაიმარჯვეთ?

თუ თქვენ არ მიგიღიათ მონაწილეობა თებერვლის თვეში ჩვენი გაზეთის მიერ შაშ-რენჰიუში გამოცხადებულ კონკურსში, გულს ნუ გაიტეხთ. კონკურსში ჩაბმა ნებისმიერი ტურიდან შეიძლება. შეგახსენებთ, რომ გამარჯვებულებს თანრიგები ენიჭებათ.

გთავაზობთ პირველი ტურის ამოცანების ამოხსნას.

ამოცანა № 1. მე-9 სვლით შავები ქმნიან ღია ქიშს (ე. ი. ორივე მხრიდან ღია ოთხეულს, რომელიც შემდეგი სვლით გადადის ხუთეულში) და იმარჯვებენ, რადგან აგებენ 5 ქვისგან შემდგარ უწყვეტ მწკრივს. თეთრების მე-2, მე-4 და მე-6 სვლები ნებისმიერია.

ამოცანა № 2. მეორე სვლა აქაც ნებისმიერია. მე-3 სვლით შექმნილ ჩანგალს (4X3) შავებისთვის გამარჯვება მოაქვთ.

თუ თეთრები მე-6 სვლას „ა“ პუნქტში გააკეთებენ, მაშინ შავები ხუთეულს „ბ“ პუნქტში შექმნიან, ხოლო თუ მე-6 სვლა „ბ“ პუნქტში გაკეთდა, მაშინ შავები „ა“ პუნქტში შექმნილი ხუთეულით გაიმარჯვებენ.

ამოცანა № 3. სამიანის დასახურავად, რომელიც პირველი სვლით შექმნეს შავებმა. თეთრების მეორე სვლა აქაც ნებისმიერია.

მე-4 სვლით თეთრები ერთ მხარეს კეტავენ შავების ქიშს და ამის შემდეგ შავებს ეკარგებათ „ა“ პუნქტში თამაშის უფლება, რადგან წარმოიქმნება გრძელი მწკრივი, მე-9 სვლით კი შავები ორივე მხრიდან ღია ქიშს ქმნიან და იმარჯვებენ.

სამივე ამოცანის სწორი პასუხები გამოაგზავნეს: **მერაბ ხაბაზმა, გიორგი ჯანელიძემ, გია სულთანიშვილმა, ზურაბ თოდუამ, რამაზ ხელაშვილმა, ი. ფირცხალაიშვილმა და ვლადიმირ პოდრუშნიაკმა.**



დიაგრამა № 1



დიაგრამა № 2



დიაგრამა № 3

გთავაზობთ მეორე ტურის ამოცანებს. ამოხსნაში ყველა ვარიანტი უნდა იყოს გარჩეული. შავების სვლები აღინიშნება შავი ან ლურჯი წრით, თეთრების — წითელი წრით. ყოველ შემდეგ სვლას და არა წყვილს, როგორც ეს ჭადრაკშია, აქვს თავისი ნომერი. ეს ნომერი უნდა ჩაიწეროს წრის შიგნით. თეთრი წერტილით აღნიშნული კოჭი დგას ცენტრში.

ამოცანებში შავები იწყებენ და იმარჯვებენ. ამოცანის პასუხები უნდა გამოგზავნოთ გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში.



დიაგრამა № 4



დიაგრამა № 5



დიაგრამა № 6

გუშინწინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-14 ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 1 (ქალათბურთი), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 25 (საციგაო სპორტი), 34 (ბალახის ჰოკეი), 41 (მაგიდის ჩოგბურთი), 44 (ჭადრაკი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 19 (სათხილამურო რბოლები), 20 (აფროსნობა), 24 (ხელბურთი), 27 (მშვილდოსნობა), 35 (შაიბიანი ჰოკეი).



საქართველოს პირველობა

შაბათ-კვირას შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის VI ტურის მატჩები.

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 7:1, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „დინამო-2“-„იმედი“ (თბილისი) 2:0, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:1, „მადნეული“ (ბოლნისი) — „დინამო“ (გაგრა) 0:2, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2:1, „დურუჯი“ (ყვარელი) — „სულორი“ (ვანი) 2:3, „იმერეთი“ (ქუთაისი) — „ივერია“ (ხაშური) 1:1, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:0, „სქური“ (წალენჯიხა) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 1:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:2, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:1, „კახეთი“ (თელავი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 3:3.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი: 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 280006, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუს სში, ხოშარაულის ქ. 29. 8 უე 06856